თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 7

ქ.თერჯოლა 28 აპრილი 2026 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. ნინო ოქრუაძე, 8. ზურაბ ჩხიკვაძე, 9. ლაშა ლანჩავა, 10.გოჩა ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ომარ ჯიხვაშვილი,

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282611413, 24.04.2026 წ);

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

2. ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში (თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №14-282611758, 27.04.2026 წ).

/მომხს.: ი.ჩხეიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა დ ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუცრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მეწყრული პროცესის შედეგად დაზიანდა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი, საფრთხე ექმნება ასევე საავტომობილო გზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეს, საჭიროა ნაპირდამცავი სამუშაოების ჩატარება, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა, ირაკლი ჩხეიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ბიძინა ბუცხრიკიძემ, ნინო ოქრუაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 აპრილის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე